№ 177
ხუთშაბათი 28 აგვისტო 1897 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1897

ივერია

№ 177
ხუთშაბათი 28 აგვისტო 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამგრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ჯღირს 4 მან. 75 კაპ.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის
(წელი მეთექვსმეტე)

კურსების დანიშნულება ის არაოის' რ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1897—3 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო კანონმა, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუღგალტერია (მარტივი, ორიც და სამანკო), 4) არითმეტიკა სახეგარაშო ზოთქმთ, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფელ-წერა და წერა გაკრეფილ და შოთანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვის № 9 სერგიევსის და ნაგორნის ქუჩაზედ, ბოთიაქის მერ დამორ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიმმართოს კურსების დამაარსებელს ს. ბ. მანუჭარიანს, ტფილისს. (24—127—22)

რედაქციისაგან

ვაცნობებთ იმ ხელის-მომწერელთ, რომელთაც შარშან პირველ იანვრიდგან მთელის წლით გამოიწერეს გაზეთი და თუმანი წარმოადგინეს, რომ გაზეთი მოესწრებათ ამ აგვისტოს დამლევს. ვისაც ჯსურს ამ 1897 წლის დამლევამდე ეგზიანებოდეს გაზეთი, უნდა შემოიტანოს კიდევ 3 მან. 33 კაპ.

სენაკის სათავად-აზნაურო სკოლა.

აგვისტოს 27-დგან 2 სექტემბრამდე მოხდება მისაღები ეგზამენები. თუ მანამდე ვაკანსიები არ იქმნა შევსებული, მოსწავლეთა მიღება განიგრძობა შემდეგს რიცხვებშიაც.

3 და 4 ენკენის თვეს იქმნება ხელმეორეგამოცდა ზოგიერთის შეგირდებისა. სწავლა დაიწყება 5-ს ს. ტყემბერს. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქმნას შემდეგი საბუთები: ა) წლოვანების მოწმობა და ბ) მამათა ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობისა, რომ მთხოვნელი ბანკის დამფუძნებელთა შორის ირიცხება. პირველს განყოფილებაში 40 ვაკანსიაა თავისუფალი, მეორეში 2, მესამეში 3 და მეოთხეში 14.

(3—ნ.—1).

ქართული თეატრი

სათავად-აზნაურო თეატრში, კვირას, 31 აგვისტოს 1897 წ.

ქართველის თეატრის რეჟისორის თანაშემწე ა. თამაზიშვილი გამართავს გამოსაცდელს წარმოდგენის სტენის მოუკარეთა დასმარებით.

წარმოდგენილი იქნება:

I

ბრილიანტი

კომ. 2 მოქ., თხზ. თავ. რ. ერისთავისა.

II

ადვოკატი მელაძე

კომედია 2 მოქმედებად, თარგ. თავ. ი. მაჩაბლისა.

ადგილების ფასი ძალიან დაჯდებულია. დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების»
გ ა ზ ე თ ი
ამით აცხადებს, რომ **ბათუმის ქართულს სკოლაში დაცლილა ადგილი უმცროსის მასწავლებელისა** და ამ ადგილის დაპერის მსურველთ უნდა მიმმართონ თხოვნით გამგეობას.

ჯამაგირად მასწავლებელს ეძლევა 480 მან. წელიწადში.

(3—უ.—3).

მთავრობის განკარგულებანი

დამტკიცებულ იქმნენ, სამი წლის ვადით, ქუთაისის თავად-აზნაურთა არჩევანის თანახმად, მაზრის წინამძღოლებად: ქუთაისისა—მიღიციის ბრალმოსაზრეა თავადი დავით ნიკორაძე, ოზურგეთისა—მორგუნიკი თავადი სიმონ გუგუნავა, შორაპნისა—კოლეგიური სეკრეტარი თავადი მიხეილ აბაშიძე, რაჭისა—მორგუნიკი თავადი ბლატონ წულუკიძე; დეპუტატებად: ქუთაისის მაზრისა—მიღიციის იუნკერი ალექსანდრე ერისთავი, ოზურგეთისა—ეზნაური სიდორაკ ხუნდაძე; შორაპნისა—კოლეგიური რეგისტრატორი კონსტანტინე მაჭავარიანი, რაჭისა—ტიტულარინი სოკეტნიკი დურასან ჭიკინაძე; სადეპუტატო კრების მდივნად—კოლეგიური სეკრეტარი ნიკოლოზ გამრეკელი.

დანიშნულ იქმნა მაიორების განყოფილების მესამე ნაწილის სასამართლოს გამომძიებელის თანამდებობის აღმასრულებელი კოლეგიური სეკრეტარი ორახელაშვილი — სურმალინის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ.

დათხოვნილ იქმნა ერთი თვის ვადით, ეზმაიმანის სომეხ გრიგორიანთა სანოდის ბრაკურორი კანჩელი.

ახალი ამბავი

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გუშინ, 27 აგვისტოს, პასუხად შეტყობინა ბ-ნს გუბერნატორს, რომ მან უკვე გაჰზავნა საქონლის ჭირის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად ბეიოალი მელქუმოვი და ბ-ნი ვარშამოვი. გარდა ამისა ქალაქის გამგეობას ორი ადგილი აურჩევია საქონლის მოსარეკად მტკვრის ნაპირებზედ და ამ ადგილების ზედამხედველობა ჩაუბარებია ბეიოალის მელქუმოვისა, გამგეობის მოხელე ჯაბადარისა და 1 და 7 ნაწილის ბოქაულებისთვის.

⁂ გუშინ, 27 აგვისტოს, ქალაქის გამგეობის დარბაზში მივიდა ორი წარმომადგენელი უცხოეთის ფირმისა და მოლაპარაკება დაიწყეს შესახებ ტფილისის განათებისა ელექტრონით.

⁂ ამ ჟამად გზა-ტკეცილი კეთდება ქალაქიდგან სასაკლაოამდე. ეს საქმე შეფერხდა იმით, რომ იმ ადგილების პატრონები, რომელზედაც ამ გზამ უნდა გაიაროს, ძლიერ ბევრს ფულსა თხოულობენ და, გარდა ამისა, ასე ამბობენ, ადგილი ხომ მიგიქვთ და თითო ოთახი მაინც გაგვიშენეთ თვისის სამზარეულოთოო.

⁂ გუშინ, 27 აგვისტოს, ტფილისის ქალაქის გამგეობას დეპეშით შეატყობინეს, რომ ტფილისში ჩა-

ფელეტონი

ბ-ნი შ. არაგვისპირელი და მისი უკანასკნელი ეტიუდები.

(შემდეგი *)

შემდეგი ეტიუდები ბ-ნ არაგვისპირელისა არიან: „ღმერთო, რა დაგიშავე?!“ („ბოამბე“ № XI, 1895 წ.) და „ეჰ, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი!..“ („ბოამბე“ № XII, 1895 წ.) პირველში აწერილია სულიერი ტანჯვა „ახლად წვერ-ულვაშ ამოფეთქილ მწირისა“, რომელიც მშობლებს ცხრა წლის ყრმა მიუყვანიათ უდაბნოში და იქ დაუტოვებიათ. „მას შემდეგ თერთმეტმა წელიწადმა განვლო“ და ოცის წლის ჭაბუკს გული აღარ უდგება უდაბნოში და თავისუფალ ცხოვრებისკენ სწევს. მწირი, რაც შეუძლიან სცდილობს, არ აჰყვეს გულს და, რომ უფრო შეებრძოლოს, განდეგილად მიდის „შიო მღვიმელის ერთ მიუვალ კლდის ტახტვით გადმოკიდებულ პატარა კალთაზე“, მაგრამ აქაც ვერ დასძლია თავისი გული და სიყმაწვილის მოგონებანი, როცა თავისუფალი იყო, აშფოთებენ. ნამეტნავად ის სურათი, როცა ომიდგან დაბრუნებულმა მისმა უფროსმა ძმამ გულში ჩაიკრა საყვარელი ქალი და „ორად გაყოფილი ისევ ერთ არსებად გარდაიქცა“, თვალ-წინ უდგია მწირს და „იპყრობს მთელ იმისს არსებას“. ამ სურათის მოგონებამ აგრძნობინა, „რაც აკლია მის გულს, აგრძნობინა ისეთი ძლიერებით, რომ ცეცხლი ეკიდება, ხოტი სტკივა და იწვის“. თან „უფლისადმი საყვედურით აღესილი ქვითინებს“ და ამბობს: „ღმერთო, რა დაგიშავე?!“-ო...

მოიგონეთ, სწორედ ამ ნაირს მდგომარეობაშიე მყოფი, ლერმონტოვის მწირი, რომელიც აგრეთვე ბაგშვი დასტოვეს მონასტერში და რომელსაც თავისკენ იწვევენ სამშობლო მთები, როგორ იქცევა და დამეთანხმებით, რომ ბ-ნ არაგვისპირელის მწირი იმასთან შედარებით რაღაც უსულო ტიკინს უფრო ჰგავს, ვიდრე სურვილებ-აღძრულს ჭაბუკს, ხოლო უსულო ტიკინს აბა ვინ თანაუგრძნობს და ჩვენც არ შეგვიძლიან სერაფიონ მწირის თანაგრძნობა; არ შეგვიძლიან და მაშასადამე, ტყუილად მომცდარა ავტორი, რომ ლერმონტოვის მწირის შემდეგ თავისი მწირი დაგვიხატა!

მეორე ეტიუდის („ეჰ, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი!*) შესახებ მე არაფერს ვიტყვი და ნებას მივცემ ჩემ თავს, მ-ვიყვანო აქ ერთი ჩვენი ახალგაზდა კრიტიკოსის აზრი, რომელმაც დიდი ხანია გამოაცხადა: ბ-ნს არაგვისპირელს ჩვენს აწინდელს ლიტერატურაში ტოლი არა ჰყავს, მან შექმნა ახალი ხანა, ის სწორედ ჩვენი გიუ დე-მოპასანიაო და სხვ. აი, რას ამბობს ხსენებული კრიტიკოსი ამ ეტიუდის შესახებ (იხ. „ივერია“ № 4, 1896 წლისა): „შინაარსად ავტორს აუღია სალახის (საქონლის დამკვლელის) სულის მდგომარეობა, რომელსაც საცოდავი, დასაკლავად გამზადებული საქონლის ტანჯვა ძილშიაც-კი მოსვენებას არ აძლევს. ბოლოს, შობა დღეს მისი სიბრალული დასაკლავ და უკვე დაკლულ საქონლისადმი იქამდის მიდის, რომ საყდარში შეკვარდება და ღვთის წინაშე ამ ცოდვას ინანებს: მაგრამ სინანული ვერასა შველის და სინდისი ქენჯნის და მოსვენებას არ აძლევს, ვინემ არაყით არ დაითვრება და არ დაივიწყებს ყოველივეს. მე მგონია, აქ მეტად გადაჭარბებულია სალახის სულის ტანჯვა. როცა სიბრალული პირუტყვთა და კაცთადმი ერთნაირად იხატება, მაშინ ეს სიბრალული ნორმალური გრძნობა კი არ არის, ავადმყოფობაა“. მე სრულიად ვეთანხმები ამ აზრს მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იმას, რასაც ბ-ნ არაგვისპირელის თაყვანის მცემელი კრიტიკოსი „მგონია“-ობით ამბობს, მე პირდაპირ ვიტყვი, რადგან საპიროდ არ მიმაჩნია ვისიმე პირში მოგერება და აზრად მაქვს ნაკლულეფანებათა ჩვენებით, შეძლებისა დაგვარად, სარგებლობა მოვუტანო ჩვენს ნიჭიერს ბელეტრისტს, რომელსაც, როგორც ვნახეთ, სწორე გზისთვის გადუხვევია და ყალბს დასდგომია; მამის სული დაუვიწყია და მამინაცვლის სულს იფიცავს, როგორც ამბობს ჩვენებური ანდაზა.

მამის სულის დავიწყება და მამინაცვლის სულის ფიცია, აბა მაშ რა არის იმისთანა ჩვენებურის ხალხის ცხოვრების მცოდნე მწერლისაგან, როგორც ბ-ნი არაგვისპირელია, ამ ცხოვრების დავიწყება და ისეთის ეტიუდების წერა, როგორიც ზემოდ ვნახეთ, ან როგორიც არის მისი: „ეჰ შმარიტად“!.. („ბოამბე“ № III, 1896 წ.) და „იუდა“ („ბოამბე“ № V, 1896 წ.). ეს ორივე ეტიუდი დაწერილია სახარების თქმულების მიბაძვით და პირველი ჰხატავს პეტრე მოციქულის იუბს ქრისტეს ღვთაებობაში, როცა უკანასკნელი ჯვარცმული მოჰკვდა და დაკრძალული იქმნა, და შემდეგ ამ იუბის გაქარწყლებას, როცა შეიტყო, ქრისტე აღსდგაო, ხოლო მეორე—იუდას ჯერ სიხარულს, რომ მატყუარა ქრისტე გასცა, მერე სინანულს მისას და ბოლოს თავის ჩამორჩობას. ჩემის აზრით, რაც უნდა შესანიშნავი იყოს ამ ნაირი მოთხრობა, რაც უნდა ხელოვნურად იყოს იგი დაწერილი, მაინც შეცდომაა და ტყუილუბრალოდ დროს დაკარგვა თანამედროვე ნიჭიერ მწერლისაგან, ნამეტნავად ჩვენში იმაზედ შეჩერება და თანამედროვე ცხოვრების მიტოვება. ნამეტნავად ჩვენ'ში-მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ ჩვენი ხალხი ახლა იღვიძებს დიდის ხნის ღრმა ძილისაგან, ახლა ეჩვევა კითხვას და კითხულობს იმიტომ, რომ ისწავლოს რამე, გზა გაიკვლიოს ცხოვრებაში, და ყოველ მწერალს, როგორც მასწავლებელისა და გზის მაჩვენებელის მოვალეობას შეადგენს, თუ შეუძლიან, დაკმაყოფილოს ეს მოთხოვნილება, ხოლო თუ არ შეუძლიან, სდუმდეს, რომ შპერ კაცს პურის ნაცვლად ქვა არ მიაწოდოს.

„ეჰ შმარიტად“-ის ეტიუდზედ ადარაფერს ვიტყვი, რადგან, ასე თუ ისე, სახარების თქმულების თანახმად არის იგი დაწერილი და, მაშასადამე, მაინც და მაინც ცუდიც არა იქმნება-რა შიგ, თუმცა, მართალი უნდა მოგახსენოთ,

*) იხ. „ივერია“ № 176.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვა სულ 230 წევრი საგეოლოგიო საზოგადოებისა 7 სექტემბრამდე.

⁂ ამ ჟამად დუშეთის მაზრაში მეტად გავრცელებულია თურქული. სოფელი არ არის თითქმის, რომ თურქულიანი საქონელი არ მოიძებნებოდეს. ახლა იქ ბეითალი შ. დედაბრიშვილია გაგზავნილი, რომ ავადმყოფს საქონელს უწამლოს.

⁂ როგორც შევიტყეთ, შეიძლება ბეითალი ბ-ნი შ. დედაბრიშვილი (არაგვისპირელი) დუშეთის მაზრაში იქმნეს დატოვებული სამუდამოდ.

⁂ როგორცა გვწერენ, ცნობილი ყაჩაღი ილიკო ფუცაბეშვილი, რომელიც მთელს ქართლს შიშს ზარსა სცემდა, სოფ. ქვათეთრის მახლობლად გლეხს ნიკოლოოზ ლომიძეს მოუკლავს.

⁂ ბაქოს ქალაქის არჩევანები 14 სექტემბრისათვის არის დანიშნული.

⁂ რადგანაც სამაზრო ბოქაულებს თავისუფალი დრო სრულიად არა აქვთ, რომ თვალ-ყური ადევნონ ბეითალების მიერ საქონლის ჭირის მოსასპობლად აღნიშნული საშულებანი წესიერად სრულდებოდეს სოფლად, ტფილისის გუბერნატორს განკარგულება მოუხდენია, რომ მაზრის სამმართველოთა შტატს-გარეშე მყოფმა მოხელეებმა ასარულონ ხოლმე სამაზრო ბოქაულების მოვალეობანი და თვალ-ყური ადევნონ, რომ ბეითალების განკარგულება საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლად უსათუოდ შესრულებულ იქმნას. ამ განკარგულების შესასრულებლად გორის მაზრაში ოთხი ასეთი მოხელეა საჭირო და სამმართველოს-კი სულ ორი ჰყავს. ამისათვის გუბერნატორს ორი მოხელე თიანეთისა და დუშეთის მაზრიდგან გაუგზავნია.

⁂ როგორც სოფ. სანებელიდგან (გორის მაზრაშია) გვაუწყებენ, თითქმის მთელს სოფელს აცივ-აცხელებს; ისეთს ოჯახობას ვერა ჭნახავს ადამიანი, რომ ერთი წევრი მაინც არა ჰყავდეს ციებით ავად. მართალია, წინა წლებშიაც სცოდნია აქ ამ დროს ციება, მაგრამ ასე მოდებული არსადა ყოფილა.

კარგი იქნებოდა მაზრის ექიმი გაესინჯავდეს ავადმყოფებსა და უფასოდ წამლებს დაურიგებდნენ.

⁂ ჟინვანის გზა, რომელიც განზრახულია კავკასიის გზათა საოლქოს გადაეცეს, სულ შეიკავს 19 ვერსსა და 125 საჟენს. გზა იწყება სოფ. ანანაურიდგანა, ჟინვანის ხიდზედ გადის და ანდრეევის წისქვილთანა თავდება.

⁂ მეურნეობის მინისტრის მიერ გამოგზავნილმა მიკოლოგმა ბ-ნმა იაჩევსკიმ, როგორც წინადაცა გვქონდა მოხსენებული, უკვე დაათვალიერა კახეთისა და ქართლის ვენახები და ამ ახლო ხანში ქუთაისის გუბერნიაში წავა იქაურის ვენახების დასათვალიერებლად.

⁂ 10 სექტემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოში, დანიშნულია განსახილველად მეტად საყურადღებო საქმე ტფილისელ კანდიტერის ალიხანოვისა, რომელსაც ცრუ ბეწლობა ედება ბრალად.

⁂ მიკოლოგოსმა ბ ნმა იაჩევსკიმ 24 აგვისტოს გორის მაზრის ს. ხიდისთავში ვენახები დაათვალიერა და ზოგიერთის ადგილას ბლეკ როტი (შავი სიდამლე) აღმოაჩინა.

⁂ სახელმწიფო რკინის გზათა სამმართველოს წევრი ბ-ნი დომბროვსკი გუშინ დილით უკვე დაბრუნდა ქუთაისიდგან, სადაც 26 აგვისტოსათვის ბჭობა იყო დანიშნული კავკასიის რკინის გზის სახალხო მატარებელთა მიმოსვლის შესაცვლელად და მცხეთიდგან იგი პირდაპირ რუსეთს წავიდა საქართველოს სამხედრო გზით.

⁂ რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან რუსის გლეხთა გადმოსასახლებლად ყარსის ოლქში მიწერილი ჰქონდათ, რომ ადგილობრივი ადგილ მამული გამოეკვლიათ, თუ რამდენია თავისუფალი ადგილი, რომ აღნიშნულს ოლქში რუსის გლეხები გადაესახლებინათ. ახლა ყარსის ოლქის ადგილობრივს ადმინისტრაციას უცნობებია მთავრობისათვის, რომ, როგორც გამოკვლევამ აღმოაჩინა, თავისუფალი ადგილები უნაყოფოა და შეუძლებელია აქ რუსეთის გლეხები იქმნან დასახლებულნო.

⁂ თანახმად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის შუამდგომლობისა, საერო განათლების სამინისტროს უმაღლესი ნება-რთვა გამოუთხოვნია, რომ აბასთუმნის ორკლასიანს სასწავლებელს „ცესარევიჩის გიორგის სასწავლებელი“ ეწოდოს სახელად იმის სახსოვრად, რომ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა აბასთუმანში იმყოფება. სასწავლებელი ხაზინისა და აბასთუმანელთა ხარჯით ინახება.

⁂ ტფილისის ცხენის რკინის გზათა უსახელო საზოგადოების წლიური საზოგადო კრება დანიშნულია ამა წლის 12 ოქტომბერს, ქალაქ ბრიუსელში, დილის 11 საათზედ. ის აქციის პატრონები, რომელნიც მოისურვებენ საზოგადო კრებაზედ დასწრებას, ვალდებულნი არიან წარუდგინონ თავიანთი აქციები არა უგვიანეს ამა მდგომარე წლის $^{12}/_{24}$ სექტემბრისა ფრიდონოვისა და ამხ. საბანკირო კანტორას ტფილისში. საზოგადო კრება განიხილავს 1, გამგეობისა და კომისსარების მოხსენებებს; 2, საოპერაციო $18^{96}/_{97}$ წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშს; და 3, ამორჩევეს ერთს დამინისტრატორს და ერთსაც კომისარს.

⁂ სოფ ფხოველიდგან გვატყობინებენ, რომ საზოგადოდ უკანა მხარში შედარებით შარშანდელთან ნაკლები მოსავალი ყოფილა; შარშან-კი ხალხი მოუსავლობას უჩიოდა. გურჯაანისაკენ ვენახებს კარგად ასხიაო.

⁂ როგორც „კავკასი“ იუწყება, სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ერმოლოვი 6 სექტემბერს პეტროვსკსა და გროზნაში მივა, 8-ს—სამკურნალო წყლებზედ იქმნება, 9-ს—პიატიგორსკში და 13 სექტემბერს ნოვოროსისკში

⁂ „კავკაზს“ შეუტყვია, რომ ტფილისის ადგილობრივის ბრიგადის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს მიწერ-მოწერა დაუწყია იმის შესახებ, რომ დაბა სურამის საყასბო სხვა, უფრო შესაფერ ადგილას იქმნას გადატანილი. მიზეზად იმას ასახელებს, რომ სამხედრო სასანიტარო კომისიის გამოკვლევით საყასბო მეტად ანტი-სანიტარულს მდგომარეობაში არისო. იატაკი სისხლითაა გაჟღენთილი, კედლები და ბოძები, რაზედაც ხორცსა ჰკიდებენ, მეტად უსუფთოდ ინახებაო, საყასბოს უკან დიდი ორმო არის ამოთხრილი, რომელიც სისხლითა და ფახოცილი საქონლის შიგნეულით არის სავსე, საიდგანაც საშინელი აყროლებული სუნი ვრცელდება გარეშემოო.

⁂ სოფელ თონეთიდგან გვატყობინებენენ, რომ აქ ამ ბოლოს დროს თურქული გამოსჩენია საქონელს.

⁂ არ იქნა, არა ეშველა-რა ჩვენს გაპირვებას. იმის გარდა, რომ წვიმა-ავდრის დროს ტალახი გვიჭირვებს საქმეს მე-3 თუმანოვის ქუჩის მახლობლივ მცხოვრებლებს და კიდინდილის დროს აუარებელი მტვერი, ერთი უბედურება კიდევ გვეწვია: ჩაიქცა ერთად-ერთი ბოგირი და, ვერ წარმოიდგენთ, რა ტანჯვა-წვალებით გადად-გადმოდიან ეტლები და ურმები. ეს პირველი არ არის ამ ბოგირის ჩანგრევა და მგონი არც უკანასკნელი იქნება, რადგან ყოველ შეკეთების დროს დამშალ ფიცრებს აწყობენ და დიდხანს არა სძლებს.

არც სასარგებლო რასმე წარმოადგენს, თუ მავნებელს არა. პეტრე მოციქულის იჭვი, რომელზედაც სახარებაში მხოლოდ გაკკრით არის ნათქვამი, საშინლად გაზვიადებულია ბ-ნის არაგვისპირელისაგან, ხოლო „იუდა“ რომ ყოვლად მახინჯი რამ არის, ეს-კი ცხადია. ჯერ ერთი რომ იუდა ისტორიული მომქმედია და არავის უფლება არა აქვს, აღვირი წახსნას თავისს ფანტაზიას და იმისთანა რამ მიაწეროს, რასაც სახარებაში ადგილი არა აქვს; ბ-ნ არაგვისპირელი კი გვიმტკიცებს, რომ იმას ჰყვარებია მარიამი. ქრისტეს თაყვანის მცემელი და მაღმერთებელი, და იმიტომ გაუცია ქრისტე და მიუყიდნია ჯალათებისთვის, რომ იმისს მეტოქობას დადარჩენილიყო ⁂ საყვარელი ქალი მარტო თითონ დაესაკუთრებინა. ასე თავისუფლად ნავარდი იუდას მოქმედების შესახებ მაშინ კიდევ შეიძლებოდა, რომ სახარებაში ნათლად არ იყოს დახასიათებული იგი და აუხსნელი რჩებოდეს. რატომ უნდა გაეცა იმას თავისი მასწავლებელი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იუდა მდაბალის ხასიათის კაცი იყო, შურდა იესო ქრისტეს დიდება, თან ვერცხლის მოყვარულიც ბრძანდებოდა და ყველა ეს განა თვალ-საჩინოდა არა ხდის იმისს მოქმედებას. „და ვითარაცა სერობა იგი იყო, და ეშმაკი შესრულიყო გულსა იუდასა ისკარიოტელისასა, რათა განსცეს იგი (სახარება იოანესი, თავი 13, მუხლი 2), ვკითხულობთ ჩვენ სახარებაში და სრულიად ეკმაყოფილდებით ამ ახსნით და რად ფაქსირდა არაგვისპირელს თავისი ზღაპრის შეთხზვა? ნუ თუ მხოლოდ იმიტომ, რომ ორიგინალური, არა ჩვეულებრივი რამ ეთქვა და ამით ყურადღება მიეკცია და ქება-დიდება დაემსახურებინა თავისის იმისთანა თაყვანისმცემლებისა, რომელთაც ჩვეულებრივი უბრალო და მარტივი სიუეტი აღარ აკმაყოფილებთ, რადგან გემო აქვსთ გაფუტებული, როგორც მაგალითად, იმ გასტრონომებს, რომელთაც ჩვეულებრივ, უბრალო და მარგებელ საპმლისკენ გული აღარ მისწევთ და იძულებულნი არიან, არა ჩვეულებრივ საპმლებს მიმართონ ხოლმე. თუ ასეა, ყოველ ჩვენგანის მოვალეობას შეადგენს, ვამხილოთ ნიჭიერ მელლეტრისტს თავისი შეცდომა და ვეცადოთ კვლავ დავაბრუნოთ იგი იმ სწორე გზაზედ, რომელზედაც დაიწყო სიარული პირველად და რომელსაც შემდეგ, ჩვენდა საბედნიეროდ და მის არა სასახელოდ, უმტყუნა...

ეტიუდში „ბეჩა რადა მკლავ?!“ დახატულია პოეტურად ჯერ არშიყობა, ტრფიალი და თვით ვნებათა ღელვის დაკმაყოფილებაც (მე იმას სიყვარულს ვერ ვუწოდებ. მე ვამბობ, რასაკვირველია, ადამიანურ სიყვარულზედ და არა ცხოველურ ზედ, ე. ი. მისთანაზედ, როგორც იმავე ეტიუდში გამოყვანილ ბედურებს უყვართ ერთმანეთი) ქალისა და ვაჟისა და შემდეგ ტანჯვა და ვაჟა საყვარელისაგან მიტოვებულის, უკვე ორსულად მყოფ მომავალის დედისა. ჩინებულად არის დასურათებული კონტრასტი გაუბედურებულ ადამიანსა და ბედნიერ ბედურებს შორის; ხელოვნურად არის აწერილი სულის მდგომარეობა თინასი, რომელიც უნებლიედ იმ ადგილას გაჩნდა, სადაც პირველად იგეგმა სიყვარული და სადაც ბედნიერი ბედურები თავისს შვილებს დაჰხიროანან, მაშინ, როდესაც იმისს სიყვარულის ნაყოფს და თითონ იმასაც, ვინ იცის რა მოელით? ძალიან ტანჯვება, ძალიან თინა, მაგრამ წარმოიდგინეთ, ეს მისი ტანჯვა სრულიადაც არა სწვდება ჩვენს გულს, სულ არა ვგრძნობთ სიბრალულს ტანჯულის მიმართ. რატომ? რატომ და იმიტომ, რომ აი, როგორ აგვიწერა ავტორმა თინასი და ლეოს ვნებათა ღელვის დაკმაყოფილება:—„არ მომეკარო, არ მომეკარო!.. ეშმაკურის კის�sitsa შესხსახს თინა ლეოს და ხან ერთ ბუჩქს შემოურბენს გარს ⁂ ხან მეორეს...—ვენაცვა, თინა, ჩემო კარგო!—ათრთოლებულის ხმით მასძახის და მისდევს უკან ლეო თინას. დაიღალა ლეო, დაიძინა და შესდგა. აჩქარებით სუნთქავს, თავ-პირს ღვართქლი ჩამოსდის და უმეცდად, გაუბედავად უმზერს თინას, რომელიც ტოტა მოშორებით შესდგა და იმასკენ მოტრიალდა. დამიდგეთ, წარმტაცას თავდადეთ შესცქერას თინა დადგარუბედ ლეოს და უსიტყვოდ ეუბნება: სულდგმ, რადას მიცქერი და არ დამიჭერ, ხომ შენ სულთა ვარ?!. თინას ალერსით და იმის მშვენიერის სახით წაჭაზებული ლეო გიჟივით გადახტა იმისკენ და მკლავში ხელი გაჭერა“. შემდეგ დაიჭირა კედეკ, მაგრამ ისევ ავტორი ვალაპარაკოთ, რომ სავსებით გავითვალისწინოთ მომხდარი.—„დაგიჭირე!.. დაგიჭირე!..—კანკალით ეუბნება ლეო და თან თინას გულზედ თავდადაწყებით იკრავს. —ᲒᲒᲜ!.. ᲒᲒᲜ!.. გამაშეა!.. დახნეევთ უფასუნუბს და მეტას მეტ ᲐᲓᲔᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ თავდებეა ელდუდგბა.—ᲒᲐᲜᲪᲮᲘ!.. ᲒᲐᲜᲪᲮᲘ!..—ᲒᲒᲜ!.. ᲒᲒᲜ!.. თრთის ლეო, თრთის თინა. ორთავეს მუხლები კანკენებთა, სხვეული ადუნდგებთა, ელდუბთა. სულ ერთი წუთიც, და ორივენი ძირს დაეშვენ.

როგორც ჰხედავთ, თითონ თინავეა დამნაშავე, რომ ვნება აღუძრა გაჰირიტუეებულ ახალგაზდა კაცს, წაათამამა. იგი, ხელში ჩაუვარდა და ნამუსი აახდევინა! მიაქციეთ ყურადღება ჩემ მიერ ხაზ გასმულ ადგილებს ზემოდ აშოწერილ ეპიზოდში და დამეთანხმებინთ, რომ იმდენად ლეო არაფერს შუაშია, რამდენადაც თინა. მაშასადამე, ვერც თანავეგრძნობთ სამართლიანად დასჯილს დამნაშავეს და ვერ შევიბრალებთ, რა გინდ იტანჯებოდეს იგი! მართალია, ლეომ ცუდი ჰქნა, რომ წავიდა, თავი დაანება თინას და „გთხოვ დამივიწყოო“, მოსწერა, მაგრამ, იქნება, ბევრი გასამართლებელი საბუთი წარმოედგინა თავისის ამ ნაირ მოქმედებისა, მსჯავრში რომ ჩაგვეგდო. დიახ, თვითონ თინამ გაიუბედურა თავისივე ხელით თავისი თავი და არავითარი უფლება არა აქვს, ლეოს მოახვიოს თავზე თავისის გაუბედურების მიზეზი და „ბეჩა, რადა მკლავ?!“-ო, უთხრას იმისს ლანდს; თითონ თინაა დამნაშავე და ბ-ნი არაგვისპირელი ტყუილად სცდება, როცა თავისს კალთას აფარებს და მოწმედ გამოჰყავს, უბრალო მსხვერპლად ჰსახავს...

დუტუ მგრელი

(შემდეგი იქნება)

⁂ ქ. ფოთი. 24 აგვისტოს სამწუხარო ამბავი დატრიალდა. ყასაბ ქადეიშვილს წინა დღით ნაყიდი კამბერი გაუგიჟდა და გამოუვარდა ბაკიდგან გარეთ, გაცოფებული დარბოდა ქუჩებში და ხან ვის დაეტაკებოდა და ხან ვის. ჯერ დილის 9 საათზევე დაეტაკა პატარა ბავშვს და სასიკვდილოდ დაჰშავა, 12 საათზე-კი დაეტაკა მენახშირეს ოქ. სიმონეიშვილს, ჩაიგდო ფეხქვეშ და დაბეჟილი ძლივს გადაარჩინეს. საცოდავი სულ ერთიანად დასიდა ათი წუთის განმავლობაში და მისი სიკვდილისაგან გადარჩენა საეჭვოა.

⁂ სოფ. შუმოქმედი (გურია). კარგა ხანია, რაც ბ-ნ იაგორ მამინაიშვილმა ითავა და სოფლის ხალხის შემწეობით გააკეთა ბოგირი მდ. ბეტუმზედ. დიდის ამბით ვიდღესასწაულეთ ბოგირის კურთხევა, მაგრამ მალე ბოლო მოეღო ჩვენ სიხარულს. მოიმატა თუ არა წყალმა, ბოგირს რამდენიმე ბოძი გამოაცალა და ჩაჰფუშა. ამ დროს აქ შეესწრო ბ-ნი იაგორ მამინაიშვილიც და დგეპირდა, დგეხმარებით და ისევ მალე გგიმართავთ ბოგირსაო, მაგრამ დღემდის არაფერი დახმარება არ გგვიწია და ვართ ასე ტანჯვა წვალებაში ჩაცვივნულნი უხიდობისა გამო. იმედია, ბ-ნი გამრეკელი მოგვაქცევს ყურადღებას და დაგვიხსნის გაჭირვებისაგან.

⁂ სოფ. სამებელი. ბქეთ წლეულ პურის მოსავალი კარგი იყო, ვენახებსაც შშვენივრად ასხია, თუ ახლა აღარ გამოუვარდა-რა. კოდი პური სამ მანეთად იყიდება. ერთის სიტყვით, მოსავალი ამ წლისა ყოველ მხრივ კარგი იყო.

⁂ ქალაქის საბჭოს ახლად ამორჩეულის ხმოსნების პირველს კრებაზედ, ხმოსნების დაფიცვის შემდეგ, განხილულ იქმნება შემდეგი საგნები: ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელის წინადადება იმის შესახებ, რომ დანიშნულ იქმნას დრო ქალაქის თავის ამოსარჩევად; ამორჩევა საბჭოს თავმჯდომარისა იმ შემთხვევისათვის, თუ ქალაქის თავს არ შეეძლება თავმჯდომარეობა; გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს დადგენილება ჯარის-კაცების სამი დღით გამოკვების შესახებ; გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს დადგენილება სავაპრო-სამრეწველო პოლიციის ცვლილებათა შემოღების შესახებ; დასკვნა ქალაქის გამგეობისა სამდგომარო გარდასახადის შემოღების შესახებ ტფილისში; მოხსენება ქალაქის გამგეობისა 1898 წელს ტრაქტირების გარდასახადის როადენობის შესახებ; მოხსენება ქალაქის გამგეობისა საქონლის ჯირის წინადადებგ საბრძოლველად ღონისძიებათა ხმარების შესახებ ტფილისში.

⁂ 24 აგვისტოს, ღამით პეტრე-პავლეს ქუჩაზედ ვარშამოვის სასტუმრო ოთახიდგან მოჰპარეს ვიღაც ბოროტ მომქმედთ ორი აბრეშუმის ანაფორა და ერთი კაბა სოფ. პატარა ლილოს მდგელს ქანტურიძეს და მთავარს შვილიაშვილს, სულ 60 მ. ღირებული. ბოროტმოქმედნი ღია ფანჯრიდგან გადასულან ოთახში.

⁂ 26 აგვისტოს, პოლიციის მეცხრე ნაწილში ტფილისის მცხოვრებელმა ნიკოლოზ გიორგის ძემ პორორიანოვმა ჩხუბის დროს მძიმედ დასჭრა ჯიბის დანით ტფილისსავე მცხოვრებელი საქელა ბაღდასაროვი მეცელსა და ორ ადგილას მკლავში. დაშავებული მაშინვე საავადმყოფოში გაგზავნეს და დამნაშავე-კი შეიპყრეს.

ჩვენ გვთხოვენ შემდეგი შენიშვნა დაბეჭდოთ: „18 მარტიმობისთვეს მეშვიდე პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს ტატურიანცი და გამოაცხადეს: ჩემმა შეგირდმა, სიღნაღის მაზრის სოფელ შიდეანის მცხოვრებმა ალექსი ზარიგაზეიდმა ქქესის თუმნის სალარდი ნავუობი წაიღო და სადღაც მიიტანა; ამისათვის სთხოვა ბ-ნ პოჭაულს გამოძიება მოახდინეთ და ზარიგაშვილის დასაჭერად რაიმე საშუალება ისმარეთო. თურმე ნუ იტყვით, ასეთი ცილი ამისათვის დასწამა სტოდაკ ობოდ უპატრონო შეგირდს „ტატურიანცმა“, რომ თავიდგან აიტიდოს ის სასტიკი სასჯელი, რომელიც მას შემდეგის უკანონო საქმეთაგან მოელის: 19 ამავე თვეს ის ზემომოხსენებული შეგირდი ტატურიანცისა ალექსი ზარიგაზეიდი, 15 წლის უმაწვილი, გამოეცხადა მესუთე პოლიციის განყოფილების პოჭაულს და სიტყვიერად მოახსენა: „ჯერ ორი წელიწადია შეგირდად კარ ავდასპაში მეჩექმე ტატურიანცთან, ეკუდ დღე თითქმის ისე სასტიკად მექცეოდა, რომ ერთის დღეს თავის მოკვლა განვიზრახე. პატრონი არავინ მეკვლა, ეისთვის უნდა შემეჩიენა! გუშინ-წინ ოსტატი გამოკვირდა რაღ წაიღე ჩემ დაკეთილისაგან შენი საკუთარი ხის საკარი და გაჭეიდეო; ჩამავლო ხელში ხელი და მაღდა სარეოფელის ერთის პატარა ოთახში ძალით შეამთრია, თავისის ძმის დასმარებით ფეხსეი შემიკრა, ხელებიც უკან გამიკრა, ერთის სატეკეი ისე შემიკრა, რომ განძრევის დონე ადარა მქონდა; ადიო ხელში მსხვილი მთრახი და შეუბრალებლად დამიწყო ცემა, ჩემმა ტირეფამ, ოხოვნა-ვედრებამ მას გული არ დაუბრალა, ცემა არ შეუწყვეტია, კიდეც გამატიტვლა და ისე მცემა. ეხლა ტანი სულ დალეწილია და დასასნელიანებული მაქვს. ამის კარგა ორი დღე და ღამე მშიერ-წყურვილი დამჩეკეული ეიყავი ოთახში და მესამე დღეს ძალიან ძალიანმით თავი დავკიწე და გამოეკეტეი. მეც, როგორც ობოლმა და უპატრონომ, მაშინვე მიკუმეურე ერთს ჩემს ბიძაშვილთან, სიონის ეიწრო ქუჩაში, სადაც დღემდის ეიმალებოდი ჩემს ოსტატს. დღესაც არ გამოკამეფლეხენდი ამ შემთხვეევს, რომ ჩემ ბიძაშვილს არ ერჩია ჩემთვის და საშინლად არ ეიეო ნაცემი“.

ბ-ნმა ბოჭაულმა მოისმინა რა სიტყვარი ზარიგაზეიდისა, ეოკეკლეეე ამისი სიტყვა ოქმში ჩასწერა, ზარიგაზეიდი ეჭიმს მაღალშეიღლთან გაჰეგზავნა შესამოწმებლად, რომელიც თავის შემოწმებაში, სსკათა შორის, სწერს, რომ ზარიგაზეიდს ტანი საშინლად ან სასინლიანებული და დადურეკებული აქვს, ეტყობა მათრახით ან სხვა რამე ამის მგზავსით უნდა ეიოს ნაცემი. ბ-ნმა ბოჭაულმა თავისი და ეჭიმის ოქმი მეშვიდე პოლიციის განყოფილების ბოჭაულს გაუგზავნა, რათა გამოძიება დაემოკრებინა ადგილიდან. ალექსრის ბოჭაულმა გამოძიებით აღმოაჩინა, რომ ტატურიანცს, 17 ამა თვეს, ზარიგაშვილი ოთახში დაეკეტეიდა, სელ ფეხი შეეკრა და ისე მათრახით სასტეკად ეცემა. რაც შეეხება ამას, რომ ზარიგაშვილს ეთხოვ ქეურდობა ჩაედინოს, ამბობენ, ტატურიანცი ამ ბრალს ამისთვისა სდებს, რომ თავიდან აიტიდოს ის სასტეკი სასჯელი, რომელიც მას მოელის. ტემის თარეზზედ სჯმე გამოძიებელის გადაეცემა და ქეურდობის თარეზზედ მიმრიგებელ მოსამართლეს. ტატურიანცის ჩეკმის სახელოსნოში ათიე სხვა შეგირდია, ნუ თუ ზარიგაშვილისეთი ეპერობა ამათაც? ტატურიანცის მამა ჩეკმეების ხელოსანთა უსტაბაშია. მოდი და ამის სამართალი მოსთხოვონ შვილის შეგირდებმა! ეხლოთი ეს საქმე რითი გათავდება.

ტატურიანცი ზარიგაშვილს ემუქრება თურმე, თუ არ შემორიგდიო, ოდ თუ მანს ეკრიმის გადაკიხდეინეს შენს ბიძაშვილს, რომელსაც ბირობა აქვს მოცემული, რომ ხუთ წლიდე წასვლა არ შეგეძლოო ჩემგანო.

დაბადებ სოფელი

(მოწერილი ამბები)

ს. ბაკურციხე, (კახეთი). 17 აგვისტოს ს. ბაკურციხეში იყო თთ. ეანნაძეების კერძო კრება, რომელსაც ზარად ჭქონდა გადმა ტეთი სარგებლობის გაწესრიგება. უნდა შეენიშოთ, რომ თთ. ეანნაძეების ტყეები როგორც გადმა, აგრეეე გამოდმა გაუფოფელი ეიძლეეენდა, რის გამოც ამ ტყეებიან ის უფრო სარგებლობდა, ვინც უფრო მეტს გამეზრახობასს, მოსარხვასს სხვრობდა, ეიდრე დადი მოსაწილე. გამოდმა ტყეს ეეშეკა: მოსაგრობამ შეჭეეს ეა ეი ამ ბირობათთ, რომ ეიდრე ტყე გაიაზრდებოდეს, ხეკი ეარეკინ ასდოს, სოდო შემდეკ ნაწილ-ნაწილად უნდა იკაფებოდეს, როგორც წესი მოითხოვს; თთ. ეანნაძეებმა უნდა ამდეიოს „ეამგარი ტეის ორის ეარეკეის და ერთის „ობეეშმეკოსა“, რაც თეეში ხეთს თუმნის ხარჯს შეადგენს. ამ ხარჯის დასაფარვად და საეუკეკდოთო სასარგებლოდ ეანნაძეებმა განიზრახეს გადმა ტეის შეკვრეტ, მსოდოდ მთავრობის დაეხმარებდად. ამ აზრით ამოიჩიეეს კომიტეტი, რომელიც შესდგება ეეკესის თავკეისაგან: ტეის გამეკედ თ. მ. რ. კეინაძე, რომელმაც უნდა ამდეიოს ტეის ბიდეთი. თ. მ. რ. ეანნაძეს თეეში ოდ-ეა ხეთი თუმანი დაეენიშნეს. ამ ფეედში შედის როგორც თ. ეანნაძის ეასამრკეკდო, აგრეეე ტეის მტკეკლების ეკეკრავეების ფასი.

დადი ეეეეანი გამოიწეია ამ კარემოკამ, თუ კინ რამდენად უნდა ისარგებლოს შემოსეკლის ფეედით. ზოგეერთნი ამტკიცეენ, რომ შემოსეკალეიტ, როგორც ტეე, თავისს დროზედ — ეტოზედ უნდა კეაიეოსო; მაგრამ მეორენი, რომელთაც ამ გზით ტოტა ხედებთთ, ამბობენ, რომ ტეეტ და ტეის შემოსეკალეიტ კომლზედ უნდა კეაიეოსო, სოდო თითო ოროდა ამ აზრისტ-ეი არეის, რომ ერთიტ და მეორეტ მკალეზედ უნდა კეაიეოდესო. ადგილად წარმოსადგენია, რომ აზრების ამისთანა არეულობაში საქმის ისე თუ ისე გადაწეკეტტ ეოკალდ შეეძლებელი ეიო, ამიტომ კრება ამ აზრს დასდგა, რომ ტეის კეეოფეის წეს-რიგის გამორკეკეეამდის შემოსეკალეს ეოკეკდ კეაზეი ხარკეები დაჭეფარეს, სოდო დასარჩენი ფეეი ხეზინაში იკმნის შეტანილი, ეიდრე საკანი გამოარკეკეოდესო.

ამეკე კრებამ დასდგინა, რომ კეანაძეების ეკილი ტეიდგან სარგებლობის ფეეფეეი მიეეეკეს, ბაკურციხე კეოდანის ბკრდ, ბაკეეუბანსა და ანაკას, კ. თთ. ამ მოსაზრებითი, რომ ტეე ფეფო კეკეან კეაკეფეეთ, მაგრამ ეს დადგენილება დადდ საკრძნობელი იქნება ქიზიეეკეეებისათვის, რომლის ეფეფოსი ნაწილი ამ ტეეეეთის სარგებლობდა, რასაკვირველია, ფფსსდ და არა ეეეეთ...

დადი კამთი გამოიწეია კრებაზედ ტეის სმარეეთ თეთ კანაძეების მიერ. ზოგნი ამ აზრისანი იეეკნენ, რომ მოანწიდეკენმეც ეისდან ეტერეოდნი ხარჯი სა ზოგადო ტეიდგან გამოტანილს ეკეკოსა თუ ხე-ტეეზედო, მაგრამ ეეეკეკეოსობა ამ აზრს დასდგა, რომ თეკთ კანაძეეეის ნაბა ჭქონდეთ ეესენეეეულის ტეეთთა.

თუ ეეკეკ კანაძეებმა ხელი მოაწერეს ასეთს დადგენილებას, რაც დადად საეკეკეოა, რადგანაც კანაძეეეის ეეესეედი ნაწილი ხელ ეეეე

რთელობაზედ ცუდი გავლენა აქვს, ჰვნებს.

— ელექტრო-ტეხნიკოსთა მე-IV საბჭობი კრება, რომელიც ოდესაში მიწვეული, გზათა მინისტრის განკარგულებით 1 ლ სექტემბრიდგან 15 სექტემბრისათვის იქმნა გადადებული.

— კანონ-პროექტი, რომლის შემუშავებასაც ამ ჟამად შესდგომიან და რომლითაც განზრახულია სააქციონერო საქმეში ცვლილებანი იქმნას შეტანილი, სახელმწიფო საბჭოს მომავალ წელს შემოდგომაზედ ადრე არ წარედგინება. ამავე დროს წარედგინება. სახელმწიფო საბჭოს საგრძო გარდასახადის ახალი წესდება, რომლის გადასინჯვასაც სექტემბრის დამლევს დასრულებენ. პროექტი ახალის სავაჭრო-სამრეწველო გარდასახადისა, რომელიც ამ ჟამად სრულიად დამთავრებულია, სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრებაზედ იქნება განხილული ამ წლის შემოდგომაზედ. საბაჟო წესდების გადასინჯვა 1898 წლის გაზაფხულზედ იქმნება დასრულებული, ხოლო სახელმწიფო საბჭოს შემოდგომაზედ წარედგინება განსახილველად.

— ჰამბურგელს დოსტაქარს ექიმს დეიტშმანს საშუალება აღმოუჩენია თვალის სინათლე კვლავ დაუბრუნოს ადამიანს, თუ უსინათლობა იმისი მიზეზია, რომ თვალის უჯრა გარსი (сѣтчатая оболочка) გადაცლილი, ან მოშორებული აქვს. ეს ავადმყოფობა თვალისა დღემდის განუკურნებელ სენად ითვლებოდა. ამისათვის ექიმის დეიტშმანის მიერ აღმოჩენეს საშუალებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ფალის ავადმყოფობათა მეცნიერებაში დიდი ცვლილება შეაქვს. ექიმს დეიტშმანს უკვე მოურჩენია ერთი ასეთი ავადმყოფი, რომელსაც ოკეანეში მოგზაურობის დროს სრულიად დაუკარგავს სინათლე და რომლის ავადმყოფობაც ყველა ექიმებს განუკურნებელ სენად უცვნია. ახლა იგი სამი წელიწადია თურმე საუცხოოდ ჰხედავს. შუშის მაგვარს, ბზიალა, მოლაპლაპე სითხეს, რომლის დაკარგვასაც შედეგად უსინათლობა მოსდევს, ექიმი დეიტშმანი კურდღლის პატარა ბაჟიებისაგან თურმე იღებს.

უცხოეთი

ოსმალეთი. ოსმალეთ-საბერძნეთის ომის შემდეგ თითქმის ოთხი-ხუთი თვე გავიდა და ოსმალები სიხარულისაგან ჯერ კიდევ არ გამოფხიზლებულან. მართალია, საბერძნეთისა და ომისის გაუწყობელ ჯარის დამარცხება ძალიან დიდი საქმე არ არის და ბევრი შორს გამსჭვრეტელი და ჭკვიანი კაცი ომის დაწყებამდე ამბობდა, რომ საბერძნეთი ოსმალეთს ვერ გაუმაგრდებო, მაგრამ სულთანის ქვეშევრდომნი მაინც დიდს აღტაცებაში მოვიდნენ და დღეს თავიანთ სახელმწიფოს უძლიერეს და დაუმარცხებელ სახელმწიფოდა სთვლიან ქვეყანაზედ. ასე განსჯეთ, ოსმალები ევროპასაც კი აღარ ეპუებიან და გულ წრფელად აღიარებენ, რომ თუ სულთანმა მოიწდომა და ომი გამოუცხადა ევროპასაო, ისეთს დღეს დააყენებს, რომ მეორედ ოსმალეთის წინააღმდეგ ვეღარაფერი გაბედოსო. ოსმალების ასეთის გადიდგულების მიზეზი შემდეგი გარემოებაა: მოგეხსენებათ, რომ ქვეყანაზედ მრავალი მაჰმადიანია. მცირე აზია, ინდოეთი, საშუალო აზია, ჩრდილო აფრიკა და მრავალი სხვა ქვეყანა მაჰმადიანებით არის დასახლებული. ოდესღაც ძლიერნი და სხვის მბრძანებელნი მაჰმადიანნი დღეს დაეცნენ და სხვათა სახელმწიფოების მონებად გადაიქცნენ. მთელი ინდოეთი, მაგალითად, სადაც სამოც მილიონ მაჰმადიანზედ მეტია დღეს, ინგლისის მბრძანებლობის ქვეშ არის. თავისუფლება დაჰკარგეს აგრეთვე საშუალო აზიის და ჩრდილო აფრიკის მაჰმადიანნი. დარჩნენ მხოლოდ მცირეთი და სპარსეთი, მაგრამ ესენიც იმდენად დაუძლურებულნი და დაძაბუნებულნი არიან, რომ იმათი მერმისი მეტად საეჭვოა. მაჰმადიანთა დაცემისა და განადგურების მიზეზი ამ უკანასკნელ ორის საუკუნის განმავლობაში ქრისტიანები იყვნენ. ყველგან, სადაც კი მაჰმადიანებს ომი მოუხდათ ქრისტიანებთან, ეს უკანასკნელნი გამარჯვებულნი გამოდიოდნენ და ამ რიგად მაჰმადიანთა მდგომარეობა დღითი-დღე უკან მიდიოდა. ბოლოს ქრისტიანთა დამარცხების იმედი სული ერთიანად დაჰკარგეს და სწორედ ამ დროს ოსმალეთი საბერძნეთს, ე. ი. ქრისტიან სახელმწიფოს ამარცხებს, ისიც ორის, ან სამის კვირის განმავლობაში. რასაკვირველია, მაჰმადიანებისთვის ისეთის პატარა ერის დამარცხება, როგორიც არის საბერძნეთი, საკმარისი იყო, რომ აღტაცებაში მოსულიყვნენ და სიხარულით ცას დასწეოდნენ. მაჰმადიანთ იფიქრეს, ეს არის, ჩვენი მზე ამოდისო, და საყოველთაო დღესასწაულს მიეცნენ. მას აქეთ რაც დეიტშმამ ქვეყანას აუწყეს, რომ ოსმალეთმა საბერძნეთი დაამარცხაო, სამაჰმადიანოს ყოველის კუთხიდგან აუარებელი ფული და წერილები მოდის ოსმალეთში. ყველანი დიდს მადლობასა და თანაგძნობას უცხადებენ სულთანს გამარჯვებისათვის და ყველანი სცდილობენ ფულად შემწეობა აღმოუჩინონ ოსმალეთს. ინდოეთსა, ტუნისსა, ალჟირსა, ეგვიპტესა, ავღანისტანსა და იავის კუნძულზედ მთელი მილიონები შეიკრიბა ოსმალეთის სასარგებლოდ. ყველამ ოსმალეთს მიაპყრო თვალი და სულთანს ისე დაუწყეს ყურება, როგორც ყველა მაჰმადიანთა მეთაურს. იმასაც-კი ლაპარაკობენ, რომ ყველა მაჰმადიანნი შეერთდნენ და ერთი სამაჰმადიანო სახელმწიფო დაარსდესო. რასაკვირველია, ყოველმავე ამან ოსმალები მეტად ასიამოვნა და აღტაცებაში მოიყვანა და აი, სწორედ ამ გარემოების ბრალია, რომ დღეს ოსმალთ ევროპა აღარაფრად მიაჩნიათ და თავიანთი სახელმწიფო და სულთანი ცამდის აჰყავთ.

დამეკვირდი

(სერბიის დედოფლის ნატალისი)

დამოუკიდებლობა ყოველთვის არ არის ბედნიერება.

***

უბედურია ის, ვისაც არ ესმის ბედნიერება კეთილ-მოქმედებისა და მადლის ქმნისა.

***

ქონება მარტო თავისის-თავისათვის — არაფერია. სამეტანის ქონება სხვისისთვის — ბეჯრი რამ არის და თითქმის ყველაფერია.

დ. ლანჩხუთი და იმაუური აფთიაქი.

(წერილი რედაქციის მიმართ)

დაბა ლანჩხუთში აგერ რამდენიმე წელიწადია არსებობს „თავისუფალი“ აფთიაქი, რომელიდგანაც საზოგადოებენ როგორც ლანჩხუთის, ისე სხვა ახლო მახლო სოფლის მკვიდრნი. დარსებიდგანვე ამ აფთიაქმა ბევრი სარგებლობა მოუტანა გაჭირვებულ მკვიდრთ, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ზშირად გადადის სხვა-და-სხვათა ხელში, რომლებიც ერთი მეორეზედ უდიერად და უზრდელად ეკაკუნიან თავიანთ მეუჭტუნს, რადგანაც კარგად იცის მეაფთიაქემ, რომ იმასთან ბისულ გაჭირვებულთ მეტი გზა არა აქვთ და რაც უნდა შეურაცხყოფა მიაყენოს და რა ფასიც გამოართვას, მაინც უნდა დამორჩილოს თავის ბედს.

3 აგვისტოს მე თვითონ შემთხვევით მოვიხადა ზემოხსენებულ აფთიაქში შესვლა წამლების სასყიდლად. შევედი თუარა მეაფთიაქეს ვთხოვე ურეცეპტოდ მოეცა ერთის აბა ზის შუბავეული ქინა. აბაზი იუცხოვა და მკვახედ მითხრა: „არ შეიძლება აბაზისა!“ მე შევეკითხე, მაშრამდენის შეიძლება მეთქი. „ორ აბაზზედ ნაკლებისა არ შეიძლებაო“. მეც დავეთანხმე და ვთხოვე გეკეთებინა. დავეჯეკი და დავუწყე ლოდინი. ჩემთან იყვნენ კიდევ სხვა წამლის მყოდველებიც.

დიდის ხნის ლოდინის შემდეგ იმის შიშით, რომ მატარებელს არ გაესწროო ქუთაისისაკენ, ეკითხე, ვინ აბზაღებს ჩემთვის წამალს მეთქი. მეაფთიაქემ დაუძახა ამის შემდეგ პატარა ბიჭს და უთხრა ლათინურად წამლების სახელი. ეს ლათინური სიტყვები ისისმა მსახურმა ისე გიგოო, როგორც მე. საწყალმა „ბავშვმა“ შიშით არ იცოდა რომლის წამლის ბანკასა ჰკიდებდა ხელს. ბოლოს წამოიტანა ერთ ბანკას ხელი და უნდოდა შაერია ჩემ მიერ დაკვეთილს წამალში, რამდენიმე წვეთიც ჩაასხა, მაგრამ ამ დროს, როდაც ბედად, მეაფთიაქემ შეასწრო თვალი, ხელიდგან გამოჰგლიჯა და ჩუმად წასჩურჩულა: „Этимъ можно отравиться“-ო, მაგრამ ეს სიტყვები კარგად გავიგონე და ამის გამო იძულებული გავხდი წამალი აღარ წამიღო, რომლისათვისაც ბევრი უდიერი და უშვერი სიტყვები მაკადრა ბ-ნმა მეაფთიაქემ.

საკვირველია, ღმერთმანი... ყველგან აფთიაქში, არათუ ხმა მაღლა ლაპარაკი და ლანძღვა-გინება, არამედ მეტის სიტყვის დქმაც დიდ უზრდელობად მიიჩნიეთ; წამლის გაკეთებას ხომ დიდ ყურადღებას აქცევენ და უვიც ბიჭ-ბუტებს არ ანდობენ, მაგრამ ლანჩხუთში ეს ასე არა ყოფილა. აქ წამლის შესაზავებლად ისეთები დაუნიშნავთ, რომელნიც ღმერთმა უწყის, რა წამალს რომელში ურევენ და აწყდებენ ხალხს. გარდა ამისა, ზრდილობიანი მოქცევა ხომ დიდ ცოდვად მიიჩნიათ.

ბევრი უწესობა გასწორებულა ბეჭედითის სიტყვით და ნუ თუ ლანჩხუთის აფთიაქს-კი არა ეშველება-რა, მით უმეტეს, რომ არა ერთხელ ყოფილა გაზ. „ივერია“ ში“ გამოაშკარავებული იქავე მომხდარი უწესობა და უკანონო საქციელი...

ფილიპე ხელაძე

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საააგენტოსაგან).

27 აგვისტო.

ბელოსტოკი. 26 აგვისტო. გუშინ მათნი უდიდებულესობანი სამხედრო სამკურნალოში ბრძანდებოდნენ. დღეს ხელმწიფე იმპერატორი და დიდნი მთავარნი ოსოვეცის ციხეი დასათვალიერებლად წაბრძანდნენ. ხელმწიფე იმპერატრიცა დოილიდგან მობრძანდა ბელოსტოკში და დათვალიერა იქაური საქველმოქმედო საზოგადოების ქსენონი, საეკკლესიო სამრევლო სკოლები და ლოტრანგთა ეკკლესიის სამრევლო სკოლა.

მათის იმპერატორებითის მოჰრძანების სახსოვრად ეელოსტოკში დედათა გიმნაზიის დასაარსებლად, გარდა შეწირულებით შეგროვილ 16,000 მანათისა, ქალაქი ემართველობამ გადასდო 5,000 მანათი და ებრაელთა საზოგადოებამ 25,000 მან.

ლონდონი. „Times“ დეპეშით სწერენ კონსტანტინეპოლიდგან, რომ ელჩებმა გუშინ განიხილეს სოლსბერის ახალი მოხსენება შესახებ იმისა, რომ კომისია შესდგეს 6 დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელთაგან. ამ კომისიამ უნდა კონტროლი იქონიოს საბერძნეთის შემოსავალსედ, რომელიც სრულიად საკმარისია სამხედრო საზღვაურისა და სხვა ვალების გარდასახდელად. დაინიშნება თუ არა ეს კომისია, ოსმალები თასალიას თავს დაანებებენ. ელჩებმა მიმართეს სახელმწიფოებს და სთხოვეს, ნება მეგეეცით, რომ ზემოხსენებულ მოხსენების შესახებ მოლაპარაკება დაიწყოთ ოსმალეთთანაო. სოსლსბერის მოხსენება გამოწვეულია გრაფის მურავიოვის მიწერილობით, რომელშიაც ნათქვამია, ინგლისმა უნდა აგოს პასუხი, რომ მოლაპარაკება გაჭიანურდა და ოსმალეთსა და საბერძნეთს ამის გამო დიდი ზარალი მოსდითო.

სოფია. მთავარმა შეიწყნარა თხოვნა ფინანსთა მინისტრის გეშოვისა და იმის ალაგას დანიშნა იუსტიციის მინისტრი თოეოდოროვი; იუსტიციის სამინისტროს უფროსი მდივანი ზგურეევი დანიშნულ იქმნა იუსტიციის მინისტრად; საერო განათლების მინისტრი ველიჩკოვი—ვაჭრობისა და მეურნეობის მინისტრად; დეპუტატი ვეზოვი—საერო განათლების მინისტრად.

განცხადებანი

წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სასწავლებლისაგან

პირველ სექტემბრიდამ პირველ ოქტომბრამდე ამა წლისა წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯან მრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიიბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მმართველს, ანუ მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვარის შვილს (მომრიგებელ მოსამართლეს ქალაქ თბილისში), წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდგან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წინვიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურს შეადგენს: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება. მეფუტკრობა და სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა, ჩილინგრობისა (სლესარობისა) და წიგნების კაზმისა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

სკოლაში მიიღებენ ისეთი მოზრდილი ყმაწვილებიც, რომელთაც სწავლა სხვა სასწავლებელში გაუთავებიათ და სურვილი აქვსთ სასოფლო მეურნეობა შეისწავლონ და ფერმაში ივარჯიშონ.

შორის მხრიდგან მოყვანილ ყმაწვილებისთვის სოფ. წინამძღვარიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისთვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია თვეში შვიდი მანეთი, ყმაწვილს დილა-საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით და სწავლის შემდეგ სადილი, ორი კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხო. კვირა-უქმეში კი სამი კერძი. კვირაში ერთხელ ყმაწვილებს საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც ჰსურს მიიბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს მოელი წლის შესანახი ფული 84 მანეთი; უკეთუ შეგირდი წლის შესრულებამდე სადგურიდგან გავიდა, მაშინ ეს ფული უკან იმათ დედ-მამას აღარ დაებრუნებათ და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგები, ექვსი ხელი საცვალი, პირისახოცები, ბალიშის პირები, ზეწრები და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი. ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო.

(3—უ.—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ 27-го Августа 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და პეტხაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ.